ხელშეკრულება სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ №72

ქ. თბილისი 9 ივლისი, 2013 წელი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით, (შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული)

მისამართი: ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქ. № 7

საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, საიდენტიფიკაციო კოდი: 203845018.

და

ზოგადი აუდიტორი ალბერტ ბერძნიშვილი (შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული), რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ზოგად აუდიტში საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2012 წლის 18 ივნისს გაცემული (მოქმ. ვადა: 2015 წლის 18 ივნისამდე) სერთიფიკატის სN6/201 საფუძველზე.

მისამართი: ქ. თბილისი; დიღმის მასივი, პირველი კვარტალი, კორპ. 6, ბინა 21.
საიდენტიფიკაციო კოდი: 102096624

საბანკო რეკვიზიტები: „პროკრედიტ ბანკი“, ბანკის კოდი:MIBGGE22; ანგარიშის ნომერი: №GE27PC0443600100001509.

ერთის მხრივ – დამკვეთი, და მეორეს მხრივ შემსრულებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთის დავალების შესაბამისად შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გაუწიოს სრული აუდიტორული მომსახურება დანართის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **500 ლარი (ხუთასი ლარი).**

3. მხარეთა მოვალეობები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2013 წლის 15 ივლისის ჩათვლით;**

3.2. შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს მომსახურეობის შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია;

3.3. დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება განსაზღვრული წესების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2013 წლის 22 ივლისის ჩათვლით.**

5. ანგარიშსწორების და მიწოდების წესი

5.1. მომსახურეობის შესრულება დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით;

5.2. დამკვეთის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს - ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს – კობა ლომიძეს;

5.3. დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან **2013 წლის 22 ივლისის ჩათვლით;**

5.4. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

5.5. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადების გადაცილებების შემთხვევაში მხარეები ჯარიმდებიან ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით;

7. ფორს-მაჟორი

7.1. ფორს-მაჟორი მიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8. სხვა პირობები

8.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო;

8.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

8.3. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

8.4. ხელშეკრულების საერთო პირობები მიიღება „სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მიხედვით;

8.5. ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს;

8.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დამკვეთს, ერთი ეგზემპლარი შემსრულებელს).

დამკვეთის მხრიდან:	**შემსრულებლის მხრიდან:**
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი	ფიზიკური პირი, მეწარმე
_____	_____
გიორგი კეკელიძე	ალბერტ ბაბანიშვილი

დანართი1

ტექნიკური დავალება აუდიტორულ მომსახურებაზე

	დასახელება	რ-ბა	ერთ.ფასი	ჯამი
1	ჯართის საწყისი სარეალიზაციო ფასის განსაზღვრა	1	125.00	125.00
2	ბიბლიოთეკის II კორპუსის II სართულის მარჯვენა ფლიგელზე არსებული ფართის საიჯარო ქირის განსაზღვრა	1	125,00	125,00
3	ბიბლიოთეკის II კორპუსის II სართულის მარცხენა ფლიგელზე არსებული ფართის საიჯარო ქირის განსაზღვრა	1	125,00	125,00
4	ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული კორპუსის საკონფერენციო დარბაზთან არსებული ფართის საიჯარო ქირის განსაზღვრა	1	125,00	125,00
	სულ ჯამი	4		500,00

ფიზიკური პირი-მეწარმე ა.ბერძნიშვილი

102086824



საქართველოს პარლამენტთან არსებული
აუდიტორული საქმიანობის საბჭო

სერტიფიკატი №6/201

ეს სერტიფიკატი დადასტურებს, რომ

ალბერტ ბერძნიშვილს

აუდიტორული საქმიანობის საბჭოს გადაწყვეტილებით
მიენიჭა აუდიტორის კვალიფიკაცია

ზოგად აუდიტში

2015 წ. 18 ივნისამდე

2015 წ. 18 ივნისიდან

აუდიტორული საქმიანობის
საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილეობის შემასრულებელი
18 ივნისი 2012 წელი
ქ.თბილისი

მ.აფრიდონიძე

COUNCIL AT THE PARLIAMENT OF GEORGIA